

**ოქმი № 5**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის**

2019 წელი, 20 მარტი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** ლ. საჯაია - მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარე

**ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, მ.ზოიძე, ალ.დლონტი, ლ.ბიგვავა, ნ.ორაგველიძე, ლ.ნინიძე, ჯ.თავართქილაძე, რ.სკამკოჩაიშვილი, დ.მამალაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

**დღის წესრიგი**

კომისიაში შემოსული კორესპოდენციის შესახებ.

**მომხს:ლ საჯაია**

კომისიის წევრებმა მოისმინეს სხდომის თავმჯდომარის მოკლე ინფორმაცია კომისიაში შემოსული ორი მოქალაქის-ქ.ოზურგეთში გ.სალუქვაძის ქ.N 3-ში მცხოვრებ სტუდენტ მირიან ბახტაძის, რომლის ოჯახსაც არ ააქვს სწავლის საფასურის 1000 ლარის გადახდის საშუალება და გურიანთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ თამარ კვაჭანტირაძის, რომელიც არის ონკო ავადმყოფი ესაჭიროება 520 ლარის ღირებულების მკურნალობა და ოჯახს არ ააქვს მისი დასაფარავი თანხა -განცხადებებზე, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს მიმართონ მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით გაითვალისწინოს ამ ოჯახების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და შესაძლებლობის მიხედვით გაუწიოს მაქსიმალური დახმარება.

**გადაწყვიტეს:**

ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერიას(კ.შარაშენიძე) გაითვალისწინოს ამ ოჯახების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და შესაძლებლობის მიხედვით გაუწიოს მაქსიმალური დახმარება.

ლელა საჯაია

კომისიის თავმჯდომარე  
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ  
საკითხთა კომისია